წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 9 მარიამობისთვე 1916 წ. № 176

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღ. 1 მ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპირობოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პირობებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

5 მარიამობისთვეს დილით გარდაიცვალა
ეკატერინე ივანეს ასული
სარაჯიშვილისა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ **ძმანი მისი ვასილი და ადამ ივანეს ძენი ფორაქიშვილები.**

პანაშვიდი—ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის **სახლში** (სერგიევის ქუჩა, № 13).

გამოსვენება ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა—დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(3-291-1)

მოხელენი და მოსამსახურენი „დ. ზ. სარაჯიშვილის“ მთავარ-კანტორისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ფირმის დიდად პატივცემულისა და დაუვიწყარის პატრონისას

ეკატერინე ივანეს ასულის
სარაჯიშვილისას

პანაშვიდი გარდახდილ იქნება ოთხშაბათს, შუადღის 12 საათზედ, განსვენებულის სადგომზედ, სერგიევის ქუჩაზე, სახლი № 13.

(2-292-1)

ქალაქ ბათუმში პარასკევს 5 მარიამობისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლავრენტი იესეს ძე ხუნგია

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ სევდით გულდამწვარნი **შვილი შალვა ლავრენტის ძე,** მშობლები **ეგვიტი კაკაბის ასული და იესე გიორგის ძე, ძმები ალექსანდრე და გიორგი იესეს ძენი, რძალი ნინა დავითის ასული,** დები: **პელაგია ჯაფარიძისა, სოფიო ღლონტისა და კესარია თოხაძისა,** სიძეები **ლუკა ივანეს ძე ჯაფარიძე, ანდრია ამბაკოს ძე ღლონტი და კალისტრატე სამუელის ძე თოხაძე,** ძმის-წულები: **ქეთო, თამარი და იესე.**

ცხედარს დაასაფლავებენ სოფ. შემოქმედში, სამშაბათს 9 მარიამობისთვეს, ნაშუადღევის 4 საათზე წ. გიორგის კარის ყურის ეკლესიის გალავანში.

(1-290-1)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 8—14 აგვისტომდე.

ორშაბათი—ოპერეტკა.
სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი გესის ლოტბარობით. მონაწილეობს ვოლფ-იზრაელი.
ოთხშაბათი—სიმფონიური კონცერტი ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით. ბენეფისი რასტრაპოვიჩისა.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა—სამხედრო ორკესტრი.
პარასკევი—სინემატოგრაფი—სიმფონიური კონცერტი გესის ლოტბარობით.
შაბათი—კონცერტი სიმფონიური ორკესტრ. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
კვირა—როგორც დიდი უქმის წინა დღე, არავითარი გასართობები არ იქნება.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა $8^{1}/_{2}$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა $8^{1}/_{2}$ საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ. (1—206—1)

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში

ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ღირება: გირვანქა—1 მ., $^{1}/_{2}$ გირვანქა—50 კაპ. $^{1}/_{4}$ გირვანქა—30 კაპ.

ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.

გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.

✦ **მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს** ✦

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

კავკასიის მცხოვრებთ

ორის წლის ომის განმავლობაში კავკასიაში დასახლებულმა ერებმა არა ერთი და ორი გმირი მისცეს ჩვენს შეუდარებელს და ბრწყინვალე მხედრობას. მადლიერი ისტორია არას ოდეს არ დაივიწყებს მათს ხსოვნასა და მათ მიერ გამოჩენილ მამაცობას, რომელმაც ისედაც სახელოვან კავკასიას უფრო მეტი სახელი მოუხვეჭა.

ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანება გამოსცა მოიწვიონ აგვისტოს 15-ს ახალი მეომარნი, რათა ჯეროვანი მომზადების შემდეგ, როცა საჭიროება მოითხოვს, ჩასდგნენ მოლაშქრეთა შორის და ძალა მოკრეფილებმა საბოლოოდ დაამარცხონ ჯიუტი მტერი.

ყველამ იცის, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში მეორე ხარისხის ლაშქრობა რამდენჯერმე იყო გაწვეული. კავკასიაში კი პირველად ხდება ეს გაწვევა. ამ რიგად კავკასიის მოსახლეობამ ახალი მსხვერპლი უნდა შესწიროს მამულის კეთილდღეობას და მას ახალი გზა ეხსნება სახელის მოსახვეჭათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ჯარში ახლად გაწვეული, პატივით და სახელით შეასრულებს თავისს მოვალეობას მეფისა და სამშობლოს წინაშე, არ დაივიწყებს იმ დიდს მოვალეობას, რომელიც წილად ხვდა მას და იმას, რომ მთლად რუსის ერი გრძნობითა და სიყვარულით ჰლოცავს მათ ამ საგმირო საქმეზედ.

სამხედრო ვალის შესრულება მოითხოვს ყველასაგან თავის დროზე გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილზედ და სათადარიგო ბატალიონებში წასვლის დროს ისე დინჯად მოიქცნენ, როგორც შეჰფერის მამულის დასაცავად მოწვეულს ადამიანს.

დარწმუნებული ვარ, ჩემი მოწოდება ჯარში გასაწვევთა მიმართ ჰპოვებს მათ გულში გამოძახილს და მე ბედნიერება მექმნება ვაუწყო **ხელმწიფე იმპერატორს,** რომ კავკასიის მცხოვრებნი სიხარულით და აღფრთოვანებით შეეგებნენ თვისს წმიდა მოვალეობის შესრულებას ტახტისა და სამშობლოს წინაშე.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ნაცვალი, კავკასიის ჯარის მთავარ-სარდალი,

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

სამშაბათს, 9 მკათათვეს,

სინემატოგრაფი
ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

სტუმრები საზოგადო წესით. (1—205—1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე
სადილები
ვახშმები

ჩაი
ყავა
ხაჭაპური
პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

ვამზადებთ პიროგით

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-15)

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

დ. ზესტაფონში

ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—203—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 1-დან იღებს მანგლისში კორპუსის ბანაკში

ცხოვეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაზიანცი

ყფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებითა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვეის დალმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი მ. ზ. ვეფხვაძე

ომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ ლინიკის ორდინატორად ნამყოფი ღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 აათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

ღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 აათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი ა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——

(185—წ.)

თბილისი, 9 მარიამობისთვე.

საქართველო და სომხობა.

არც სოციალისტ-ფედერალისტებს და, მით უმეტეს, არც სოციალ-დემოკრატებს, ამდენი ხნის არსებობის განმავლობაში, არ აღუნიშნავთ და თავის მკითხველებისთვის არ დაუნახვებიათ საბედისწერო საფრთხე, რომელსაც სომხობა და სომხობის გამრავლება საქართველოს განუმზადებს. სოციალ-ფედერალიზმის კლიენტებისთვის გაუგებარი რჩებოდა, თუ რად ირღვეოდა ათასში ერთხელ, წინააღმდეგ სოც.-ფედერალისტების პრინციპიული, სიტყვიერი დეკლარაციისა, კეთილმეზობლური განწყობილება საქართველოში ჩამოსახლებულ სომხებთან და რად იყო, რომ სოლიდარობის მომხრე სოც.-ფედერალისტური ორგანო ხან და ხან ბწვაველ ილაშქრებდა სომხების წინააღმდეგ. გამოდიოდა, თითქოს მხოლოდ დრო და დრო იბადებოდა იარაღის ასხმისა და გალაშქრების მიზეზი, გამოდიოდა, თითქოს ქართველობისა და სომხობის ანტაგონიზმი მოკლებული ყოფილიყო მუდმივს პერმანენტულ ხასიათს, თითქოს ჩამოსული სომხობის არსებობა **თავისთავად** გაუნელებელი მუქარა არ ყოფილიყო საქართველოს მთლიანობისა და კეთილ-დღეობისათვის. სოციალ-ფედერალიზმის კლიენტებს ვერ დაუნახავთ უთანხმოების ღრმა მიზეზი, ისა, თუ როგორის შეუმუსრველის ჟინით ეპირდაპირებოდა სომხის ეროვნება ქართულ ეროვნობას, ვერ დაენახათ, რომ პირველის გაძლიერება საქართველოში მეორის დასუსტებას და დარღვევას ჰქმნიდა, არა თანაბარის პროპორციით, არამედ ერთი-ორად და ერთი სამად! ეს დრო-გამოშვებითი გალაშქრება სოც.-ფედერალისტებისა სომხობის წინააღმდეგ ხდებოდა წესიერად ოთხ წელიწადში ერთხელ, საქალაქო არჩევნების ხანებში, თბილისის, სიღნაღის, თელავის და სხვა არჩევნების დროს. მაგრამ არჩევნები გადაივლიდა, დ მალე სოციალ-ფედერალიზმიც დასცხრებოდა, იარაღს ჩამოისხამდა, ზავის მოყვარულ ენით გაუბამდა ბაასს საქართველოს სომხობას და მას ძმობასა და სოლიდარობას ეფიცებოდა. უბირი მიმდევარი ამ მიმართულებისა, მისი ჯარის კაცი, სახტად რჩებოდა; მის თვალში ამ დრო-გამოშვებით ბრძოლასაც ეკარგებოდა ფასი დ მნიშვნელობა. ოთხ წელიწადში ერთხელ ორი ერთმანეთში არეული ხალხი კი არა, ტკბილად შეთვისებული ცოლ-ქმარიც კი აეშლებოდა! და სოც. ფედერალიზმის კლიენტურა ოთხ წელიწადში ერთხელ „ბრძოლის ფურცლების“ გამოცემას სომხობის წინააღმდეგ გასართობად სთვლიდა, რასაც უფრო პარტიული ერთფეროვნობის გახალისებისა და „ცხოვრების გაფერადების“ მიზანი ჰქონდა. საქალაქო ბრძოლას კიდევ ის უკარგავდა ნამდვილ ღირებულებას, რომ ქართული სოციალისტური პარტია თვის კლიენტურას იმ აზრს განუმტკიცებდა, რომ იგი ებრძოდა სომხის ერთ მუჭა პლუტოკრატიას, მხოლოდ სომხის ბურჟუაზიას, და არა მთელ საქართველოს სომხობას, რომ პირიქით სომხის ხალხთან მას არაფერი ჰქონდა გასაყოფი, რომ მასთან დაურღვეველი ძმობა და სოლიდარობა აკავშირებდა. ერთი მუჭა პლუტოკრატია, ისიც ოთხ წელში ერთხელ,—ამას სერიოზული და საშიში ხასიათი არ ჰქონდა და ქართველი საზოგადოება, რომელიც სოც. ფედერალისტების ორგანოდ იქვებოდა, მხარ-თეძოზედ წამოწოლილიყო და „ცხოვრების გაფერადების“ გულისათვის ოთხ წელიწადში ერთხელ მხოლოდ ნელ ბანს აძლევდა მეთაურთა ბრძოლის „ყიჟინას“.

ამ გვარად, ღრმა მიზეზი ქართველ-სომეხთა ორგანიული ანტაგონიზმისა **საქართველოს საზღვრების ფარგალში** ქართველ საზოგადოებას „გამოეპარა“.

სომეხთა საფრთხე საქართველოს ტერიტორიისა, მის პოლიტიკურ მომავალისა და, მაშასადამე, მის კულტურისათვის შეგნებული არ ჰქონდა სოციალ-ფედერალიზმს. და ამ მხრივ ეს მიმართულება ქართველ საზოგადოებასა და ქართველ ხალხს სათანადოდ ვერ აფრთხილებდა. ქართველ ხალხს იგი ვერც იდეურ-პსიხოლოგიურად რაზმავდა სომხობის იერიშის წინააღმდეგ და ვერც ნივთიერ-ორგანიზაციულად. ამავე დროს სომეხთა საფრთხე თანდათან იზრდებოდა; სომეხთა შორის თანდათან მატულობდა ამ საფრთხის იდეური გავრცელება და სიმტკიცე. იდეურ სიმკვიდრესთან ერთად იგი საფრთხე იჭურვებოდა სხვა და სხვა საჭურველით და ეკონომიურ-პოლიტიკურ ორგანიზაციით.

თუ სოც.-ფედერალიზმი ათასში ერთხელ მაინც ბრძოლის გუნებაზე დადგებოდა და ქართული ინტერესის სახელით სომხის პლუტოკრატიას შეუტევდა, მეორე პოლიტიკური პარტია, უფრო დიდად გავრცელებული მთელ საქართველოში და ორგანიზაციულად უფრო დარაზმული, ამასაც არ ჩადიოდა. ქართველი სოციალ დემოკრატია, კლასიურ პრინციპზე მდგარი და წმიდა პროლეტარული იდეოლოგიის ალმსარებელთ, ეროვნულ იდეასთან და ეროვნულ პრინციპთან ბრძოლაში იყო გართული. მას არ სწამდა და არ სწამს ერი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული ინტერესი, მუშური, პროლეტარული ინტერესი-კი არა, არამედ წმიდა **ეროვნული,** ერთნაირად სავალდებულო საზოგადოების ყველა წრისა და წევრისათვის, მუშა იქნება იგი, თუ ბურჟუა, გლეხი თუ მებატონე. ქართველი სოციალ-დემოკრატია ეროვნულ ინტერესს და იდეას სახავდა რეაქციონერებისა და კაცი-ჭამიების მაცდურ სამკაულად, რომელიც გამოგონილი იყო მუშა ხალხის მოსატყუებლად, დასაბრიყვებლად. იგი ებრძოდა ეროვნულ იდეას, ეროვნულ ინტერესს, როგორც მავნე, მოჭორილ ზღაპარს, რომელსაც სინამდვილეში არავითარი ფესვი არ ჰქონდა. მისთვის ერთად ერთი რეალობა და სინამდვილე კლასები იყვნენ. ხოლო კლასებ შორის მას მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის ბედი აწუხებდა. რადგან ეროვნება არ სწამდა ქართველ სოციალ-დემოკრატიას არც როგორც პრინციპი, არც როგორც იდეა, არც როგორც რეალობა, ცხადია, იგი ქართული ეროვნული ინტერესის სახელით არავის წინააღმდეგ არავითარ ბრძოლას არასდროს არ გასწევდა. რადგან მესამე დასისთვის ქართველი ერი თავის **კოლექტიურ-ეროვნულ** ინტერესით არ არსებობდა, იგი სომხობის გაძლიერება-გამრავლებაში ჩვენი სამშობლოსთვის ვერავითარ ეროვნულ საფრთხეს ვერ დაინახავდა. ამ ახრივ ქართველი სოციალ-დემოკრატია არამც თუ ქართველ ხალხს ვერ გააფრთხილებდა, პირიქით მუდმივის ჩიჩინით, რომ ეროვნება არ არსებობდა, რომ ეროვნული ინტერესი ბურჟუაზიის მოგონილი იყო, იგი მთელ ქართველ ერს აძინებდა და თავის პრინციპის ნაკლის

ძალით ამ ერს აღალატიანებდა. ქართველი დემოკრატია მთელი თავის სიმპლისტური აზროვნების აბსოლიუტობით სომხობას ძმობასა და ერთობას ეფიცებოდა. იმ ურთიერთობის დროს, რომელიც დღეს დამყარებულია საქართველოში, ქართველებსა და სომხებს შორის. და როდესაც კრუა სომეხი გამოუსადეგარ ღირებულებად რჩებოდა—და ეს დღეს ასეა,—ქართველი სოციალ-დემოკრატია ქართული ეროვნული იდეის წინააღმდეგ სომხის ბურჟუაზიას ურთდება და უკავშირდება. დეპუტატი ჩხეიძის არჩევა სომხების ხმებით ქართული ხმების წინააღმდეგ **დაურღვეველი** ფაქტია. ამ ფაქტებით გაჟღენთილ ბლოკს სიტყვებით ვერავინ გააქრობს. სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში ქართველ სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ორმაგად მავნებელი და დაღუპველი იყო, ერთი რომ სახელს უტეხავდა ყოველის საშუალებით სოციალ-ფედერალიზმს, რომელიც მოთმინება-დაკარგული ათასში ერთხელ მაინც სომხების წინააღმდეგ გაილაშქრებდა, მეორე ისა, რომ საქართველოში უძლიერესი პარტიის მფარველობის ქვეშ სომხობა თავისთავს უშიშრად გრძნობდა. ყოველ ნაფიც ვექილზედ უფრო ერთგული იდეური დამცველი ჰყავდათ საქართველოში შემოჭრილ სომხებს, ეს ჩვენი სოციალდემოკრატი. ამასთან ინტერნაციონალურ კავშირებით შესხეულებული, საქართველოს სომხობა ოსტატურად აკეთებდა თავის ეროვნულ საქმეს.

ამგვარად, ორი სოციალ-პოლიტიკური მიმართულების წყალობით, რომელთა ხელში იყო მოქცეული ქართველი ერის მთელი იდეური ხელმძღვანელობა, ქართველი ხალხი ვერა ჰხედავდა იმ უტყუარ და საშინელ საფრთხეს, რომელსაც საქართველოს სომხობა ქართული ეროვნული სხეულისთვის ჰქმნიდა და ამზადებდა. სოციალ-დემოკრატია და სოციალ-ფედერალიზმი, რომელთა აბსოლუტურ ბატონობას საქართველო განიცდიდა, სომეხთა ფრთა-გაშლილ პარპაშს სანქციას აძლევდა. სოციალ-დემოკრატია ამას ჩადიოდა სავსებით en toute integrité; რაც შეეხება სოციალ-ფედერალიზმს—იმ გამონაკლისით, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამასობაში სომხობა თავის მიზან-შეწონილ მუშაობას განაგრძობდა, ყოველ მხრივ ირაზმებოდა. ამ უკანასკნელ 15—20 წლის განმავლობაში, სწორედ იმ ხანის განმავლობაში, რაც საქართველოში ხსენებული ორი მიმართულება ჩაისახა, დაიბადა და დავაჟკაცდა და რაც ესენი საქართველოს იდეურ მესვეურობას უწევენ, სომხობამ საერთოდ, ხოლო კერძოდ საქართველოს სომხობამ მტკიცე ეროვნული ორგანიზაცია შეჰქმნა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები დაიჭირა. საქართველოს წახდენა, მისი დაპყრობა და ხელში ჩაგდება შეუდრეკელის თანდათანობით სწარმოებს. ეს წახდენა და ეს დაპყრობა სამის გზით სწარმოებს. ერთია საქართველოს ტერიტორიის და მიწა-წყლის დასაკუთრება. მეორეა ეკონომიური-პოლიტიკური. სახეში გვაქვს სომხთა კადნიერება—ებრძოლონ, საცა მიუწვდებათ, საქართველოს პოლიტიკურ იდეალს, (მათი გალაშქრება საქარ. ავტონომიის წინააღმდეგ). მესამე—ჩვენი ეთნოგრაფიული გადარჯულება. იგულისხმეთ ეროვნებით ქართველებისა და რჯულით გრიგორიანების=**გრიგორიანი ქართველების**=მასიური გადაბირება—გასომხება, ტერტერების სხვა და სხვა, სისტემაში მოყვანილი, მახინაციების წყალობით.

მაშასადამე, საქართველოს ტერიტორიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიურ-პოლიტიკური (ეს უკანასკნელი ზემოაღნიშნულის განმარტებით) დაპყრობა—აი რა მოაქვს ჩვენთვის საქართველოს სომხობას. ეს სამგზითი დაპყრობა—სომეხთა ბუნებრივი პროგრამაა, რომელიც ცხოვრებაში გერმანულის სიმტკიცით გაჰყავთ კიდეც. ამაზე მეტი საფრთხე შეუძლებელია ერს მოევლინოს. სოციალ-დემოკრატიამ და სოციალ-ფედერალიზმმა ეს საფრთხე ვერ დაგვანახეს, ისინი ამას ვერც დღეს ხედავენ.

ხოლო სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის 15 წლის განმავლობის ბაიათებით გაბრუებული ქართველი ხალხი უდარდელად ზის. ეკარგება მამაპაპეული სამკვიდრებელი, თან და თან საქართველოს მიწა-წყალი ვიწროვდება, ეკარგება ხორცი-ხორცთაგანი და სისხლის სისხლთაგანი—ნამდვილი ქართველები, რომელთაც მხოლოდ სომხის რჯული მიუღიათ. ეკარგება სა შუალება მომავალი პოლიტიკური (ცხოვრების მოწყობისა.

ამგვარად, სომხობის დაბინავება საქართველოში, საქართველოდან ქართველების აყრას ნიშნავს. მათი გაზრდა ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენი ეკონომიურ-ეროვნულ ცხოვრების სარბიელზე—ჩვენს დაკნინებას მოასწავებს.

აი სად ჩნდება ორგანიული შეურიგებლობა და ანტაგონიზმი. ერთი ერის არსებობის ჟინი და თავისებურება მეორისას ეჯახება. ერთ სივრცეზე ორის დატევა შეუძლებელია, ერთმა მეორე უნდა გარიყოს. ერთი ჰკარგავს, მეორე იძენს. აქ იარაღი არ ტრიალებს, მაგრამ გააფთრებული ბრძოლაა. ომი უსისხლოა, მაგრამ არა ნაკლებ მომაკვდინებელი.

ამას შეგნება უნდა და მომზადებული დახვედრა.

ავტოკეფალია და „დენი"

(ბ-ნ ნადეჟდინის წერილის გამო)

ღვთის წყალობით ქართული საკითხი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს რუსეთის პოლიტიკაში; ამ ჟამად, პეტრეს-ქალაქის მიტროპოლიტის პიტირიმის და სინოდის უფროსი პროკურორის ვოლჟინის თაოსნობით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენაზე ბჭობენ მთავრობის უმაღლეს წრეებში; ასეთი ყურადღების დამსახურება უნდა მივაწეროთ საერთაშორისო გარემოებათა მოსაზრებას და ქართველი ერის პიროვნების კულტურულად მოღონიერებას და არა ისეთ „ბედნიერ შემთხვევას", როგორიცაა პიტირიმის ქართველოფილობა; და თუ „უმაღლესი სამართლის" მიხედვით ვიმსჯელებთ, მიტროპოლიტი პიტირიმი თავისი სიკეთით მხოლოდ ინანიებს იმ საეკლესიო კანონის შეცოდებას, რაიც უკრძალავს ეპისკოპოსს დაუპატიჟებლად უცხო ეკლესიის მწყემსობას; საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის განხილვა თვით ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა 1906 წლის საეკლესიო თათბირს, ასე რომ არც „დიდი ლიბერალობა" იყო საჭირო" რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე ვინმეს სიტყვა ჩამოეგდო. მაგრამ არც რუსის ლიბერალებს და არც დემოკრატებს არასოდეს თავი არ აუტკივებიათ ქართული ეკლესიის უფლებაზე ზრუნვით; წინაუკმო, ისინი მხოლოდ ხელს უშლიან საქართველოს უფლებათა აღდგენას და ისევე უცნაურად ჰქირნახულობენ ივერიის ეკლესიაზე, როგორც ამასწინად კავკასიის ერობაზე. მხოლოდ, გაზაფხულზე ბატონნი „დემოკრატნი" მეხს აყრიდენ ქართველებს,—რატომ რუსის ერობაზე უფრო პროგრესიულ ერობას ახლავე არ ითხოვთო,—ზაფხულზე კი იმიტომ გვიწყრებიან,—რატომ არ გინდათ რუსებს დაუცადოთ და ახლავე ითხოვთ პროგრესიულ საეკლესიო წყობილებას! ასეთი „მანასეობა" გაგიგონიათ?.. ან რა გასაკვირია, რომ ქართველი ერის არა მკითხე მოჰირნახულენი საეკლესიო საკითხშიაც ისეთი ფარ-ხმალით არიან შეიარაღებულნი, როგორითაც საეროზე თათბირის დროს ისახელეს თავი. აი ახლაც „დენის" ნადეჟდინი, მეტი, რომ არ ვსთქვათ, მსუბუქად მსჯელობს საქართველოს წარსულზედაც, აწმყოზედაც და მომავალზედაც. მისთვის თურმე კარგად გარკვეულიც არ ყოფილა ჩვენი ეკლესიის თვით-თაოსნობა (ავტოკეფალობა) და იგი მას მხოლოდ „დიალექტიურად" აღიარებს: „ვსთქვათ (!) საქართველოს ეკლესია ოდესღაც (!) დამოუკიდებელი იყოო და, როგორც (!) საზოგადოდ საქართველო, თავის ნებით შეუერთდა რუსეთის ეკლესიასო"... დალოცვილმა, თუ საეკლესიო საკითხებზე წერა ეხერხება, უცხო მწერლებს რომ თავი დაანებოთ, მოსკოვის ცნობილ მიტროპოლიტ ფილარეტის ნაწერები მაინც გადაეთვალიერებია და გაიგებდა, რომ ივერიის ეკლესია უფროსი დაა რუსეთისა, როგორც მოწამე უკანასკნელის გაქრისტიანებისა. „დაფუძნებული მეოთხე საუკუნეში, მასუკან თავისებური და დამოუკიდებელი იყო სხვა დანარჩენ ეკლესიებისგანო". და თუ ქართულ ისტორიასაც შეიწყალებდა, მაშინ იმასაც გაიგებდა, რომ, თუ „საზოგადოდ საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს (იმპერატორს და არა „დემოკრატიას"), თანახმად მეფე ერეკლეს და ეკატერინეს შორის დადებულ ხელშეკრულებისა,—ქართული ეკლესია ამის შემდეგაც ავტოკეფალური იყო, რადგან 1783 წლის ტრაქტატის მერვე მუხლში ნახსენები „დებულება შესახებ ქართული ეკლესიის და სინოდის ურთიერთ დამოკიდებულობისა" არავის შეუდგენია და საქართველოს მთელი 28 წლის განმავლობაში ჰყავდა თავისი კათოლიკოსი, სანამ, 1811 წელს, წინააღმდეგ მსოფლიო ეკლესიის კანონებისა, საეკლესიო ყრილობის დაუკითხავად, მთავარ მართებლის ტორმასოვის განკარგულებით არ დააქვრივეს კათოლიკოსის ტახტი... ამგვარად გენერალის გამოისობით მოისპო მე-XIX საუკუნეში იმ ეკლესიის ავტოკეფალობა, რომელიც ჯერ კიდევ მე-IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის პირით უკრძალავდა მეფეს ეკლესიურ საქმეებში ჩარევას... და ამიტომაც, ნურას უკაცრავად და, არც საქართველო და არც ივერიის ეკლესია არ რაცხს თავის თავს ეგრე უბედურად, რომ იმ მრავალ „ეროვნებას და დაწესებულებას" თავი გაუყადროს, რომელთაც „ჰქონიათ და დაუკარგავთ" დამოუკიდებლობა. საქართველო არ დაუპყრიათ და გლახასავე შეწყალებას და შებრალებას კი არ ითხოვს, არამედ უფლების აღდგენას. „დენი"-ს ნადეჟდინი ბრძანებს „ცხოვრება დიდი ხანია ანგარიშს არ უწევს ამ უფლებასო". ჰაი, ჰაი, რომ უწევს, მხოლოდ ზოგთა ცხოვრებამ თურმე დაგვიანება იცის უფლების ანგარიშში, სანამ იგი უფლება ფაქტად არ იქცევა... მაგრამ ბ-ნი ნადეჟდინი ახალ იარაღს იმარჯვებს. იგი გვაუწყებს: „საქართველოს საექსარხოსოში მარტო ქართველნი არ შედიან, არამედ მრავალი სხვა კავკასიელი ერიც... ქართული ეკლესია კი, სარგებლობს რა თავის შედარებით მაღალი კულტურით, ძველადანვე ბატონობს კავკასიის ეკლესიის საქმეებში და არაფრით არ ჩამორჩება თავის „გამაქართველებელ" მოქმედებაში ჩვენს „გამრუსებელსო"... ამიტომ სუსტი ეროვნებათა ინტერესები უნდა დაცულ იქმნას ავტოკეფალურ ქართულ ეკლესიაში განსაკუთრებული კონსტიტუციითო"... სამწუხაროდ „დენის" დემოკრატი არ გვაუწყებს ამ საწყალ სუსტ ეროვნებათა ვინაობას; იგი მხოლოდ რაღაცას გადაკვრით გვეუბნება, და პირდაპირ თქმა ვერ მოუხერხებია, თან კი, ვერც უთქვამს, იმ ადამიანის არ იყოს, რომელსაც დაცხიკვება სურს და ვერც ეს მოუხერხებია; კიდევ კარგი რომ „დენს" მის მარჯვენით მდგომი, „რეჩის" დემოკრატები მოეშველნენ. მათ უკვე გვამცნეს ამ გაზეთის ქრონიკაში, ვითომც მის მაღალ ყოვლად სამღვდელოებას, საქართველოს ექსარხოსს პლატონს ბრძანება გაეცეს—„ყოველ ქართულ, იმერულ, მეგრულ, ოსურ და სხვა ადგილობრივ მრევლში შესაფერი ეროვნების (ნაციის) მღვდლები დაინიშნოსო"... თურმე იმერელ-მეგრელნი არიან ის „სუსტი ეროვნებანი", რომელთაც საქართველო ჩაყლაპვა უქადის!.. ჰო, და „სხვათა" რიცხვში ალბად კიდევ კახელებს, გურულებს და რაჭველებს გულისხმობენ?. ეს არის განა საქართველოში მყოფ „არა ქართველთა" მწვავე საკითხი?. მაშ ნუ გეწყინებათ, თუ სწორედ ეს ალალად „გაქართველებულნი" იმერელ-მეგრელები მოახსენებენ „დენის" და „რეჩის" გაქნილ დემოკრატებს,—თვიდან მოგვშორდით, სჯობს თქვენს საკუთარ თავს მიჰხედოთ, იქნებ ამით მეტი ხეირი ნახოთ; და თუ „არა-ქართველთა" ბედი გაინტერესებთ, იცოდეთ რომ ასეთნი მხოლოდ ოსები თუ ჰყავს ქართულ ეკლესიას, ის ოსები, რომელნიც ქართველ მისიონერთა ღვაწლით გაქრისტიანებულან და რა ჩვენი ბრალია, თუ კავკასიის მთებში ქრისტიანობა და ქართველობა აქამდისაც განუყოფელია!.. მაშ დაეხსენით ჩვენს შინაურ საქმეებში ხელის რევას და პატივი ეცით საქართველოს უფლებას, ისევე გაგოს თავის მიწაწყალზე მცხოვრებთა ბედი, როგორც ეს ორი-სამი ათასი წლის განმავლობაში ყოფილა. მაგრამ ბ-ნი ნადეჟდინი არ სცხრება, იგი გვაშინებს: „რა თვალით შეჰხედავს რუსის ხალხი თავის სინოდს, შორეულ საქართველოში რომ ძველი სუფალი ეკლესიური ცხოვრება დაწყოს, მაშინ როდესაც შიდა რუსეთში ამაოდ მოელიან ამგვარ რეფორმას"!.. გავკადნიერდებით და მოგახსენებთ—რა თვალით შეჰხედავს და იმავე თვალით, რომლითაც მან შეჰხედა სხვების ეკლესიისთვის ქონების და უფლების დაბრუნებას! განა ეჩმიაძინი დამოუკიდებლად არ ირჩევს თავის კათოლიკოსს, თავის სინოდს, და არ სცხოვრობს თავისი კანონით, თავისი [illegible], თავისი სკოლით და თავისი სამართლით? ჩვენ ჯერ არ გვსმენია, რომ რუსის ხალხი დრტვინავდეს და სინოდის მამებს კალთას ახევდეს—ჩვენი საკუთარი ეკლესიის კანონები აღვადგინოთო... „ხალხი სდუმს", უთქვამს რუსის პოეტს... რუსის ხალხი ამ ჟამად „ოხტინსკაია ბოგოროდიცის" პერანგისამარა წარმოდგენებზე უფრო ჰფიქრობს, ვიდრე საეკლესიო კანონებზე; მაშ, რუსულ ეკლესიის საქმეებზე გვამრთებს ზრუნვა საქართველოს ავტოკეფალობის დამცველთ, როგორც ამას ბ-ნი ნადეჟდინი გვირჩევს, თუ ქართველი ერის კულტურულ ზრდაზე და მისი ბუნების, ქონების და სულის მოღონიერებაზე, რომ უწინდელ ოსმალეთის ხელმწიფების ქვეშ მყოფ ბულგარეთის მსგავსად, ქართული ეკლესიის უფლებანი ნელნელა ფაქტად გადავაქციოთ?! „დენის" ნადეჟდინების იმედზე კი ღმერთმა ნურასოდეს ნუ დაიყვანოს საქართველოს საქმე. დაე მათ განაგრძონ კვლავინდებურად „დემოკრატიულ" ცრემლთა დენა. მათმა ნეკრასოვმა არა სთქვა: „Таксы нѣтъ на гражданскія слезы"-ო!..

გ. ვეშაპელი.

საჭიროა განმარტება

გაზეთ „რეჩის" მე-210 ნომერში მოთავსებულია ცნობა შესახებ ქართული ეკლესიის „რეფორმებისა". სხვათა შორის ნათქვამია, ვითომც—„საქართველოს ექსარხოსის მ. ყ. ს. პლატონის განკარგულებით ქართულ, იმერულ, მეგრულ და სხვა ადგილობრივ მრევლებში მხოლოდ შესაფერი ეროვნების (ნაციის) მღვდლები ინიშნებოდენო"... ამიერ-იმერეთის ქართული სამწყემსო განცვიფრებით გაიგებს ასეთ ამბების გამოტანას სატახტო გაზეთის ფურცელზე... ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცდენად საჭიროა ამ სათაკილო ცნობათა ხინამდვილის შემოწმება ვისგანაც ჯერ არს.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

დღეს დღეობით მთავარ ყურადღებას უფრო კავკასიის ბრძოლის ველი იპყრობს. აქ დაწყებული ოპერაცია თავისი კონსტრუქციით და დასახულ მიზნით იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ უეჭველია ძალიან მალე დიდი ამბების მოწმეები უნდა გავხდეთ. არა ერთხელ გაგვიმარტავს ჩვენ ეს ოპერაცია. ცნობილი სამხედრო მიმომხილველი დიმიტრიევი თავის მორიგ წერილში თითქმის სავსებით იზიარებს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრსა კავკასიის ბრძოლის ველზე დაწყებულ ოპერაციის შესახებ. იგიც, როგორც ჩვენ, ამტკიცებს, რომ ოსმალებს განზრახვა აქვთ ერთი მხრით, ე. ი. მარჯვენა ფრთით აზრუმი მოსწყვიტონ, მეორე მხრივ, ე. ი. მარცხენა ფრთით კიდევ გადასჭრან ის შარა გზა, რომელიც ბაიბურთიდან ტრაპიზონში მიდის და ამ რიგათ რუსეთის ჯარი ზღვას ჩამოაშორონ.

როგორც ახლა ვიცით, მუშ-ბითლისის მიმართულებით საკმაოდ წინ წამოუწევიათ. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა იტყობინება, რუსეთის ჯარი დიდ ბინგელ-დაგის მთებს იღებსო. ეს ადგილი კი ახლოსაა ხნისკალასთან, მაშასადამე, ერთი წვერით ოსმალები საგრძნობლად წინ წამოსულან, მაგრამ მათ დახვედრიათ რუსეთის მაშველი ჯარები და არა თუ გაჩერებულან, მოგერიებითი ბრძოლაც დაუწყიათ. მეორე წვერით ოსმალები ბითლისის მიმართულებით ნაზირეგელის ტბასთან მოსულან. ეს ჯარი ბითლისიდან ჩრდილოეთით 50 ვერსის სიშორეზე იმყოფება.

აქ რუსეთის ჯარს არა თუ შეუჩერებია, უკანაც დაუხევინებია ოსმალებისათვის. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოსმალები ერთი წვერით, ე. ი. მუშის მიმართულებით, უფრო გაცილებით წინ არიან წაწეულები, მაშინ თავისთავად ცხადია, რა დღეში ჩავარდება აქ მომქმედი ოსმალთა ჯარი, თუ რუსეთის მხედრობა იერიშებს გააძლიერებს და წინსვლას განაგრძობს ნოზიკელის ტბიდან სამხრეთით. ჩვენ ჩვენს მიმოხილვას ვსწერთ მთავარ შტაბის იმ დეპეშის მიხედვით, რომელიც დილით მივიღეთ. საღამოს დეპეშები სამაგიეროთ გადმოგვცემენ, მდგომარეობა უცვლელიაო მაშასადამე, არ ვიცით—რუსეთის ჯარი განაგრძობს წინსვლას, თუ შეჩერდა და ახალ მაშველ ჯარებს ელის. ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთით გაცხარებული ბრძოლაა გაჩაღებული. საზოგადოთ მდგომარეობა მეტათ გართულდა კავკასიის ასპარეზზე. ორივე მოპირდაპირენი სასტიკათ მიისვენენ ერთიმეორეს და შედეგსაც ძალიან მალე გავიგებთ.

გალიციაში მდგომარეობა საგრძნობლად არ შეცვლილა. ეს კია, რომ გალიციასთან ერთად მდ. სტოხოდიც ახმაურდა. ჯერ-ჯერობით ეტყობა, რომ ინიციატივა აქ რუსების ხელშია. გადიქცევა აქ დაწყებული შეტევა გენერალურ ბრძოლად თუ არა, ამის გამოცნობა ახლა მაინც ძნელია. ეს კია, რომ მდ. სტოხოდი მეტად საგრძნობელი პუნქტია და ყოველივე შეტაკებას ადვილად შესაძლოა მოჰყვეს ფართო ხასიათის ოპერაცია.

ამ რამდენიმე დღის წინ, გენ. ლეჩიცკის არმია მდ. ზოლოტაია ლიპის გადალახვას შეუდგა. ჩვენ მაშინვე განვმარტეთ ამ კერძო ხასიათის ოპერაციის მნიშვნელობა და თანაც გადაჭრით ვაღიარეთ, რომ ამ მდინარის გადალახვა და ოპერაციის გაფართოვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანად დამყარდა კარლიბაბის, იაროშჩე და იაბლონიცის მიდამოებში რუსეთის ჯარი. წინააღმდეგ შემთხვევაში მდ. ზოლოტაია ლიპაზე მოქმედება მეტად გაძნელდებოდა. მასთანვე აღვნიშნეთ, რომ აქ ავსტრიელები უსათუოდ იერიშებს დაიწყობდნენ და შეეცდებოდნენ რუსეთის ჯარების შევიწროვებას. ოფიციალი დეპეშა სავსებით ამართლებს ჩვენ მოსაზრებას. ნამდვილად ავსტრიელებს სწორედ ზემოდ ნახსენებ ადგილებში დაუწყვიათ შეტევა და რუსები იძულებული გამხდარან უკან დაეხიათ. ამასთან ერთად ცნობაც აღარ მოგვსვლია გენ. ლეჩიცკის მარჯვენა ფრთა გადავიდა ზოლოტაია ლიპას თუ არა. ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით ავსტრიელების შეტევას შეაჩერებს, რაც კი შეიძლება ღრმად განდევნის და შემდეგ ისევე განაგრძობს ამ მდინარის დაპყრობას.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 5 მარიამობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. ზოლოტოი-ლიპის ფრონტზე პოდგაიცის დასავლეთით მოწინააღმდეგემ შემოტევა დაიწყო, მაგრამ გამარჯვება ვერ ნახა და დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნა. მდ. ბისტრიცაზე რუსებმა აიღეს ლისეც-სტარი, კოროშმეზის მიმართულებით რუსები განაგრძობენ წინსვლას.

კავკასიის ასპარეზი. ვანის ტბის დასავლეთით ოსმალთა იერიშები მოგერიებულ იქმნა. სპარსეთში კალაპასოვის რაიონში რუსებს ოსმალთა დიდ ძალებთან მოუხდათ შეტაკება.

პეტროგრადი, 6 მარიამობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. 5 მარიამობისთვეს საღამოს 8 საათზე. ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა იერიში მოიტანა სოფ. ზვენიაჩისთან, მაგრამ მოგერიებულ იქმნა. ნობელის ტბის რაიონში რუსებმა მტრის თხრილების ნაწილი აიღეს. სოფ. ჩერვიშჩეს რაიონში მდ. სტოხოდზე რუსთა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაარღვიეს მტრის ჯარები და სოფ. ტობოლი აიღეს. კირლიბაბის მიმართულებით მტერმა იერიში მოიტანა და რუსებს ცოტაოდნავ დაახევინა.

კავკასიის ასპარეზი. სივასისა და კემეჭის შარაგზის შუა რუსებმა ოსმალთ დაახევინეს. დიარბექირის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა შეიქნა.

პეტროგრადი, 7 მარიამობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. ნობელის ტბის რაიონში დასავლეთით გერმანელთა იერიშები მოგერიებულ იქნა. მდ. სტოხოდზე სოფ. რუდკაჩერვიშჩესთან რუსებმა აიღეს რამდენიმე მაღლობი. სოფელ ტობოლთან ძლიერი ბრძოლა ასტყდა. სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა, ბრძოლის შემდეგ იგი რუსებს დარჩათ. დონელმა კაზაკებმა 200 ავსტრიელი აჰკუწეს. ტყვედ წამოყვანილია 6 აფიცერი, 600 ჯარისკაცი. დავლად დარჩა 15 ტყვიისმფრქვეველი, 2 ნაღმისმფრქვეველი, 1 პროჟექტორი და 5 სატელეფონო აპარატი. კოროშმეზის მიმართულებით რუსებმა მოწინააღმდეგე იაბლონიცისა და კორონჩიკის მაღლობებიდან გადმოჰყარეს. ბელიჩერემოშის მიმართულებით რუსებმა ცოტად წინ წაიწიეს. კირლიბაბის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგეს იერიშები მოჰქონდა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა.

კავკასიის ასპარეზი. დიარბექირის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. რუსთა სახელოვანი მხედრობა სძლევენ სიძნელეს და საცაა გადალახვენ ბანგელ-დაღის მაღლობებს. ნოზიკ-დედის ტბის დასავლეთით რუსებმა გადმოჰყარეს ოსმალნი [illegible] და რამდენიმე ტყვე ჩაუვარდათ ხელში. ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა გაჩაღებულა უშანყეს რაიონში.

პარიზი, 6 მარიამობისთვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით მთელ ღამის განმავლობაში გერმანელებმა რამდენჯერმე სასტიკი იერიში მიიტანეს ფრანგთა პოზიციებზე, უმთავრესად მორეპისა და ვლერის ჩრდილოეთით, მაგრამ ჩვენ ტყვიისმფრქვეველთა შემწეობით უკუ ვაგდეთ, მორეპის ჩრდილოეთით. გერმანელთ ხელში შერჩათ მხოლოდ მცირე რიცხვი თხრილებისა, რაც ამ იერიშების დროს წაგვართვეს. ღამით ფრანგებმა რამდენიმე კაცი ჩავიგდეთ ხელთ. სომის სამხრეთით მეტად მკვირცხლი საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით ბელლუა-სანტერრის რაიონში. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა ორჯერ იერიში მოიტანეს ავოკურის სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით და „304" მაღლობის თხრილებზე, მაგრამ წარმატება ვერსადა ნახეს, მთელს მარჯვენა ნაპირზე გაცოფებული იერიშები ხდებოდა ორივეს მხრით. ფრანგებს სოფ. ლის ნანგრევები შერჩათ ხელში. ტყვედ სამას კაცამდე წამოიყვანეს. სასტიკი საარტილერიო სროლა არსად არ შეწყვეტილა.

ლონდონი, 7, მარ.-თვე. გერმანელთა წყალქვეშამ დაჰლუპა ინგლისელთა გემი „სვერიო-პრინცი" და ნაღმის მკრები გემი „პრინცი". მეზღვაურნი გადაარჩინეს.

ლონდონი, 7 მარიამ. ოფიციალ. ტიეპვალიდან მოყოლებული ჩვენს მარჯვენა ფრთის წვერამდე გილმონის სამხრეთის კალთებამდე 11 მილის მანძილზე სხვა და სხვა ადგილას ავმოქმედდით და წარმატებაცა ვნახეთ. ტიეპვალის სამხ.-აღმოსავლეთით ავიღეთ მაღლობი, აგრეთვე დავიჭირეთ ფუროს ტყის ნაწილი. დღემდე წამოვიყვანეთ 696 ტყვე, აქედან 6 აფიცერია. დღეს ხელ-ახლად წავიწიეთ პოზიერის ჩრდილო-აღმოსავლეთით 275 მეტრზე. აქ მტრის არტილერია სროლით არ უსვენებდა ჩვენს პოზიციებს. ქვეითა ჯარს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

პარიზი, 5 მარიამ.-თვე. მერიტას ბიურომ გამოაქვეყნა დაღუპულ გემთა სია ომის დაწყებიდან 1916 წლ. პირველ მაისამდე. ამ სიის მიხედვით მოკავშირეთ დაჰლუპვიათ 760 გემი, სულ 1,730,673 ტონა წყალწყვისა, 170 გემი ნეიტრალ სახელმწიფოებისა, სულ 247,427 ტონა წყალწყვისა და 526 მტრის გემი, სულ 1,320,625 ტონა წყალწყვისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ცოცხალი ტყუილი.

მიუნხენის გაზეთი ასეთს ცოცხალ ტყუილებს ჰბეჭდავს: მდგომარეობა ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთისა მეტად შემაძრწუნებელია. საფრანგეთს ფული აღარ აქვს. ინგლისმა უკანასკნელი თავის ჯარისკაცი გაგზავნა ბრძოლის ველზე, ხოლო რუსეთში მოსალოდნელია რევოლიუცია დაიწყოსო.

რუმინეთი.

მას შემდეგ რაც შტიურმერი თანამდებობას შეუდგა, ენერგიულად განაგრძობს რუმინეთთან მოლაპარაკებას. ბუქარესტში რუსეთის ელჩს რუმინეთის დიპლომატებთან უნდა ელაპარაკნა და ამასთანავე რუსის დიპლომატი სურვილს გამოსთქვამდა, რომ რაც შეიძლება მალე და დანიშნულ ვადამდე გამოერკვია რუმინეთის პოზიცია, რომ ამის მიხედვით რუსეთსაც ემოქმედნა. ამბობენ მარიამობისთვის სამისთვის იყო უკანასკნელი ვადა. ამ დღეს რუმინეთს რუსის ელჩისთვის უნდა თავისი პასუხი მიეცაო.

მოკავშირე სახელმწიფოები მზად არიან რუმინეთს მოთხოვნილება აღუსრულონ და იმდენი ტერიტორია მისცენ, რომელიც ომის შემდეგ ბალკანეთზე მის ბატონობას უზრუნველ ჰყოფდა.

რუმინეთი მოითხოვს ბულგარელები არ დაესხნენ თავს, ამ მხრით რუმინეთმა ამის პირობა მიიღო.

ჰუნგრეთში რუმინეთის საზღვარზე დედაკაცებს თხრილები გაჰყავთ და სანგრებს აკეთებენ. აქ თავი მოუყარეს ხანში შესულ მოთადარიგეებს.

ავსტრიის შტაბის განცხადება.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ავსტრიის შტაბმა გალიციის მცხოვრებთა დასამშვიდებლად გამოაცხადა: უკანასკნელი დახევა გალიციის ფრონტზე წინდაწინ განზრახული იყო და თუ დღეს გალიციაში ვიხევთ ეს რუსის ჯარის იერიშების იძულებით არა ხდება.

პოლონეთის საკითხი

ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა, ყველა იმ ადგილებში მცხოვრებნი, რომელი ადგილებიც გერმანეთ-ავსტრიამ დაიპყრო, პოლონეთის სამეფოს ქვეშევრდომად უნდა ირიცხებოდესო.

ამბობენ კანცლერი პოლონეთის ლიდერებთან მოლაპარაკებას გამართავს. ამ მოკლე ხანში პოლონეთის ყველა პარტიების წარმომადგენლების ყრილობა მოჰხდება.

მოლაპარაკების შემდეგ, პოლონეთის სამოქალაქო საქმეები პოლონელებს გარდაეცემათო.

—

„უტრო როსიი“ სწერს: „გერმანეთ-ავსტრიის მიერ დაპყრობილ გუბერნიებს, ვისლის სანაპირო ადგილებს ვილჰელმი და ფრანც იოსები დამოუკიდებელ პოლონეთის სახელმწიფოდ აღიარებენ. ეს დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფო გერმანეთის სახელმწიფოთა კავშირში შედის, რომელსაც სახელად გერმანეთის იმპერია ჰქვიან და რომელსაც პრუსიელი კაიზერი განაგებს. ეხლავე გერმანეთის მთავრობა პოლონელებს პასპორტში უწერენ: „პოლონეთის სამეფოს მოქალაქეო!“

შედეგი ასეთს საჩუქრისა ის იქნება, რომ პოლონელები იძულებულნი იქნებიან იარაღი აისხან და გერმანეთ-ავსტრიის ჯართან ერთად იბრძოლონ.

საერთო უფლების ძალით გერმანეთს ნება არ ჰქონდა დაპყრობილ ქვეყნების მცხოვრებნი საბრძოლველად გამოეყვანა, ან მუდმივ ქვეშევრდომთა ფიცი მიეღებინებინა, რადგან პოლონელები ჯერ კიდევ რუსის ქვეშევრდომებად ითვლებიან.

ასეთს საერთო წესიდან მოწინააღმდეგე თავს იხსნის იმ შემთხვევაში, როცა დაპყრობა დროებით ხასიათს ჰკარგავს და აცხადებს „ბოლოდ შეერთებულად“. მაშინ მოწინააღმდეგე ავტორიტეტიან პირთა გავლენით, „მოწინააღმდეგის მთავრობას უფლება ეძლევა ყოფილი წესწყობილება და დაწესებულებანი გარდაჰქმნას, ისე როგორც მისის ინტერესისთვის ან და თვით მცხოვრებთათვის ხელსაყრელია. ამით ისარგებლეს გერმანელებმა და პოლონელების დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რათა რუსეთის პოლონელები იარაღში ჩასხან და რუსეთს შემოაბრძოლონ.

რუსეთი ჯერჯერობით სდუმს. რუსეთმა იცის, რომ გერმანელები პოლონეთს იმას არ მისცემენ, რასაც რუსეთი მისცეს. ეს პოლონელებმაც იციან და იციან, რომ გერმანეთის და ავსტრიის შემდეგ თავის სიტყვას რუსეთიც იტყვისო“.

—

შტიურმერი მეფის ბანაკიდან პეტროგრადს მოვიდა იმ დროს, როდესაც მინისტრთა საბჭოს სხდომა იყო. შტიურმერი კრებაზე არ გამოცხადებულა, პირდაპირ გარეშე საქმეთა სამინისტროში შევიდა და იქიდან სააგარაკოდ ელაგინის კუნძულზე წავიდა.

ამბობენ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ხელთ აქვს უკვე ჩამოყალიბებული აქტი პოლოსელთა საკითხის შესახებს, სადაც განმარტებულია მთავარი მუხლები ავტონომიის. ამ აქტის გამოცხადებას დღე-დღეზე მოელოდებიან, ხოლო ზოგიერთ წყაროების ცნობით ამ აქტს მაშინ გამოაცხადებენ, როცა რუსები პოლონეთს ხელახლად აიღებენო.

უკანასკნელი დეპეშები

საფრანგეთის პრესას აღელვება ეტყობა იგი სწუხს იმის გამო, რომ რუსეთი პოლონეთისადმი დაპირების ასრულებას აგვიანებსო. დასასრულ, მოუწოდებენ პოლონელებს, გერმანელებმა არ გადაგიბირონ რუსეთი თავის დაპირებას შეასრულებსო.

—

ჰინდენბურგი ვლადიმერ-ვოლინსკში იყო.

—

„ნოვოე ვრემია“ სასაცილოდ იგდებს გერმანეთის განზრახვას პოლონეთისადმი, რომ ვითომ გერმანეთი პოლონეთის გასანთავისუფლებლად გამოდის და დამოუკიდებლობას ანიჭებს. გერმანეთის მთავრობის განზრახვა კი მიმართულია, როგორც რუსეთის, ისე პოლონეთის წინააღმდეგ. არ გვეპატიება, თუ ეხლაც ამ მოვლენას უკან ჩამოვრჩითო.

—

ფინანსთა მინისტრს ბარკს იაპონიასა, შვეციასა, ნორვეგიასა და იტალიაში ერთი მილიარდის სესხი უშოვნია, რომელიც საომარ მასალას შესაკვეთად იქვე დახარჯულა.

„რ. სლოვო“ იტყობინება: პოლონეთის საკითხის აქტის გამოქვეყნება გადაიდო. წარდგენილი იყო ორი პროექტი. შტიურმერისა და კრიჟანოვსკისა. მოიწონეს კრაჟანოვსკის, როგორც მინაგვანი საზონოვის პროექტისაო.

—

ბუქარესტიდან იტყობინებიან: კონსტანტინეპოლის ჰორნიზონი მთლად გერმანეთის და ავსტრიის ჯარისაგან შესდგებაო. ოსმალები მხოლოდ პოლიციურ თანამდებობას ასრულებენო.

—

რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარზე 600,000 ოსმალო, გერმანელ და ავსტრიელ მებრძოლისათვის მოუყრიათ თავი.

—

ოსმალებმა თუ კიდევ წინ წაიწიეს, სპარსეთის მთავრობა თეირანიდან მაზანდარანში გადავა. შახი გადასვლაზე უარს აცხადებს.

—

„რუსკ. სლოვოს“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ რუმინეთსა ღ შეთანხმებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება დასრულდა და ხელიც მოაწერესო. რუმინეთი ომს მარტო ავსტრიას გამოუცხადებსო. ამბობენ, რუმინეთის ომში ჩარევა, საბერძნეთის ჩარევასაც გამოიწვევსო.

—

სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან: რუსეთი პოლონეთის აქტს მაშინ გამოაქვეყნებს, როცა რუსეთი პოლონეთში ხელ-ახლად შევაო. უკეთუ გერმანელებმა აქტის გამოქვეყნება დაასწრეს, წინააღმდეგ ამ აქტის რუსებიც გამოაცხადებენო.

—

სიმფეროპოლში გუბერნატორი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ჯარში გაწვეულებს 1 ოქტომბრამდე შეღავათი მისცენ.

—

სერეტის მიდამოებში ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. ჰინდენბურგი სულ ახალ-ახალ ჯარს აყრის. მტრის ზარალი დიდია. მოწინააღმდეგე სცდილობს რუსები სერეტიდან განდევნოს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას თვითონ მოუხდება სტრიპს თავი დაანებოს. რუსის ჯარი მაინც წინ იწევს,

—

გერმანელებმა 150000 მუშა სამხრად გაიყვანეს. მათ მაგიერ ქარხნებში ტყვეებს ამუშავებენ.

—

ინგლისურ გაზეთების ცნობით, ავსტრიელები ბუგის მიდამოებში ხიდებს აფეთქებენ, რათა ამით რუსის ჯარის ლვოვზე მიტანილი იერიშები შეაჩერონ.

—

რუმინეთის გაზეთების ცნობით ინგლისელების მიერ აღებულს სომაზე თითო კვადრატიულს კილომეტრს 5000 მეომარი ეწირება.

—

შვეიცარიის ომის მიმომხილველი ამბობს: თუნდ რუსებმა მთელი გალიცია და პოლონეთი აიღონ და თუნდ გერმანელებმა კიევი და პეტროგრადი, ომის ბედი მაინც საფრანგეთის ბრძოლის ველზე გადასწყდებაო.

—

მემარჯვენეთა ორგანოს „რუს. ზნამ.“-ის თანამშრომელი ბულაცელი გაუბრაზებია ასკვიტის სიტყვას, რომელმაც პასუხისგება ომის მთელის საშინელებისა ვილჰელმს დააკისრა და მოითხოვა, რომ ვილჰელმი ხალხის სამართლით იქმნეს განსჯილიო. ბულაცელი ამაში მონარქიზმის წინააღმდეგ ფარულ ინტრიგას ჰხედავს და ამბობს: ის ინგლისელები, რომელთაც ორი წლის ომის განმავლობაში მხოლოდ რამდენსამე მეტრით წინ წაიწიეს, ვერ შესძლებენ ამ აზრის განხორციელებას და სასამართლოს ბოქაულის როლი მთლად რუსეთს დააწვება კისრად, რომ გერმანელთა გვირგვინოსანი მეფეები ლონდონში „წაათრიოს“ და ინგლისელთა ბრბოს გულის ქავილი მოაკვლევინოს. ასკვიტი და ძმანი მისნი რუსის მრავალ ტანჯულ მხედრობას და ხალხს, როგორც სჩანს, მოვალედ ხდიან იბრძოლონ არა მარტო იმ დრომდე, რომ მედგარმა და გულადმა მოწინააღმდეგე გერმანეთმა თავისი თავი დამარცხებულად აღიაროს და რუსეთისათვის ხელსაყრელ ზავის პირობებს დასთანხმდეს, არამედ იმ დრომდე, ვიდრე რუსეთის ხიშტებით მთლად ჰოხენცოლერნთა საგვარეულო არ შემუსრებაო. ამგვარ ხელის ფათურს სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ბულაცელი ეწინააღმდეგება და ინგლისს გულისწყრომას უცხადებს.

†

ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის ანდერძის აღმასრულებელნი გვთხოვენ გ მოვაცხადოთ, რომ განსვენებულის სურვილი ყოფილა — მისი ცხედარი გვირგვინებით არ შეამკონ.

ახალი ამბავი

◆ **უმაღლესი ბრძანებით** მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თანხმობა განაცხადა საპატიო თავმჯდომარეობისა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა, ხოლო დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძემ საპატიო წევრისა ამავე საზოგადოებისა.

◆ **სასურსათო თათბირი.** დღეს მეფის ნაცვლის გენ. ლ. თ-დ ორლოვის თავმჯდომარეობით დანიშნულია საგანგებო თათბირი სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად. კრებაზე მოწვეულ არიან გუბერნატორები და ქალაქის მოურავები ერევნისა და ბაქოსი.

◆ **ავანსი.** რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარ რწმუნებულის ბ-ნ ჩელნოკოვისაგან ქალაქის კავშირმა მიიღო 860 ათასი მანეთი კავშირის საჭიროებისათვის იმ ოთხ მილიონიდან, რომელიც კავკ. კავშირისთვისაა გადადებული. დანარჩენ თანხასაც ნაწილ-ნაწილ მიიღებს.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ბორჯომიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **დეპუტაცია.** გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილესთან ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეთა წარმომადგენელნი იყვნენ და გადასცეს შუამდგომლობა გუბერნატორთან წარსადგენად საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ, რომლის ძალით მათ ფულით დახმარების აღმოჩენის თაობაზე უარი აქვთ ნათქვამი.

◆ **გაფიცვა.** კვირას, 7 მარიამობისთვეს, დილით ტრამვაის მოსამსახურენი გაიფიცნენ და სამუშაოზე არ გამოვიდნენ. გაფიცული მოსამსახურეები ინახულეს ტრამვაის პარკში თბ. პოლიცმეისტერმა და ქალაქის გამგეობის წევრმა ჯაბარმა. მათ უკმაყოფილება გადასცეს საბჭოს დადგენილებაზე, რომლის ძალით მათ ფულით დახმარებაზე უარი ეთქვათ. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა წარმომადგენლების არჩევისა და ამ დადგენილების განსაჩივრებისა გუბერნატორთან. მუშები დასთანხმდნენ და მუშაობას შეუდგნენ.

◆ **ქალაქთა კავშირის მთავარრწმუნებულის** ამხანაგს ბ. კიშკინს მოსკოვიდან ხვალ მოელიან თბილისში.

◆ **ბრძოლის ველზე** გარდაცვლილ შტ. კაპ. ქურულის გვამი კვირას დაკრძალეს დიდუბის გალავანში.

◆ **ტრამვაის ბილეთებზე** ტარიფის გადიდების საკითხის განსახილველად ხვალ ქალაქის გამგეობის და საფინანსო და სატრამვაიო კომისიების შეერთებული კრებაა დანიშნული.

◆ **ვადის გამგრძობ კომიტეტში.** 6 მარიამობისთვეს ქალაქის კომიტეტის კრება შესდგა. კომიტეტმა ჯარში გასაწვევთ 1 იანვრამდე შეღავათი მისცა სულ 6 დაწესებულებათ. უარი უთხრა 13 დაწესებულებას, მათ შორის მოიჯარადრე ქარსიას, მერძევეს და შეშის საწყობის პატრონ თ-დ ციციშვილს, სავაჭრო სახლ „სოლოტატს“, „სახალხო ფურცლის“ რედაქციის კანტორას, „ოტკლიკი ტიფლისისა“-ს რედაქციას, ორბელიანთ აბანოს მოიჯარადრე მოგელიას და სხვ.

† ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა

სიკვდილმა კიდევ მოსტაცა ქართველობას სამკურნალოდ კისლოვოდსკიდან დაბრუნებული ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა, ცნობილ მოღვაწე და ქველმოქმედ დ. ზ. სარაჯიშვილის მეუღლე. გარდაიცვალა 5 მარიამობისთვეს.

ამ ბოლო დროს ეკ. სარაჯიშვილისა სააგარაკოდ კისლოვოდსკში სცხოვრობდა. ცნობა მიიღო, რომ თქვენ სახლს ჯარის დასაყენებლად რეკვიზიციას უშვრებიანო. ეს ამბავი განსვენებულისთვის მოულოდნელი და ზარდამცემი იყო. უმალ თბილისისკენ გამოეშურა, გზაში დიდ სულიერ ღელვას განიცდიდა. მას თან ახლდა ერთი ექიმი და განსვენებულის ძმა ადამი ფორაქიშვილი. სამხედრო გზაზე ავტომობილში თან და თან ცუდად შეიქნა. მლეთამდე მოახწია და იქ თავის ძმის ხელში სული განუტევა.

განსვენებული მოასვენეს თბილისში 6 მარიამობისთვეს, ღამის 3 საათზე.

—

პანაშვიდები. 6 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულ ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის ბინაზე (სერგიევის ქუჩა), გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. მღვდელთ-მოქმედება შეასრულეს სიონის ტაძრის დეკანოზმა მამა ასათიანმა და კალოუბნის ტაძრის წინამძღვარმა მათე მონასელიძემ. 7 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე, პანაშვიდი გადაიხადეს იმავე მოძღვრებმა და დიდუბის ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ი. მირიანაშვილმა. გალობდა ქვაშვეთის ტაძრის მგალობელთა გუნდი. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ნათესავნი, ნაცნობნი, წარმომადგენელნი გაზ. „საქართველო“-სი და „სახალხო ფურცლისა“ და სხ. პანაშვიდი იქნება ყოველდღე, საღამოს 7 საათზე.

—

დაკრძალვა. განსვენებულ ეკატერინე სარაჯიშვილის ცხედარს გამოასვენებენ მისი სასახლიდან (სერგიევის ქუჩა) ხუთშაბათს, 11 ამა თვეს, და ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ, დიდუბის ეკლესიის გალავანში განსვენებულ მის მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის გვერდით მიაბარებენ მიწას.

თანახმად განსვენებულის სურვილისა დაკრძალვა უნდა იქნას უბრალოდ და უგვირგვინოდ.

—

ანდერძი. განსვენებულ ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას ანდერძი დაუტოვებია, რომლის თანახმად უნდა მიეცეს:

1) დიდუბის ეკლესიას 10,000 მან.

2) ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიას 2.000 მან.

3) დარიის მონასტერს ავლაბარში 500 მან.

5) დიღომის წმ. გიორგის ეკლესიას 1.000 მან.

5) „ ღვთის მშობლის ეკლესიას 500 მან.

6) კალოუბნის ეკლესიას თბილისში 1.000 მან.

7) სიონის ეკლესიას 1.000 მან.

8) მცხეთის ეკლესიას 1,000 მან.

9) მარტყოფის ეკლესიას 500 მან.

10) „ წმ. ანტონის ეკლესიას 500 მან.

11) დიდი ლილოს ეკლესიას 500 მან.

12) სამების ეკლესიას თბილისში 500 მან.

13) მთაწმინდის (მამა დავითის) ეკლესიას 500 მან.

14) სომეხთა წმ. სტეფანეს მონასტერს 500 მან.

15) „განათლების“ საზოგადოებას მისის და მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე ქალთა პროფესიონალ სკოლის დასაარსებლად და შესანახად ავლაბარში 50.000 მან.

16) მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას 10.000 მან.

17) ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას 5.000 მან.

18) რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა მეღვინეობის სადგურს ოდესაში 5.000 მან.

19) კავკავის ქართულ სკოლას 10.000 მან.

20) თბილისის მომავალ პოლიტეხნიკუმს ანუ სხვა რომელიც უმაღლესი სასწავლებელიც იქნება ფიზიკურ კაბინეტის მოსაწყობად 50.000 მან.

21) მცხეთის სამთავრისის დედათა მონასტერს მისი სკოლის საჭიროებისათვის 5.000 მან.

22) ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას თავის საჭიროებათა გასაძღოლად 25.000 მან.

23) ქალაქ ქუთაისს საქალაქო თეატრის ასაგებლად 150.000 მან.

24) ქალაქ კავკავს ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის გასასტუმრებლად ეროვნების განურჩევლად 30.000 მან.

25) ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 25.000 მან.

26) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად და სკოლების თვის, უმთავრესად პროფესიონალ სკოლებისთვის დასაარსებლად და შესანახად 100.000 მან.

27) სიტყვა კაზმულ მწერლობის საზოგადოებას პრემიების დასანიშნად მისის და განსვენებულ მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე საუკეთესო ბელეტრისტულ ნაწარმოებისთვის 20.000 მან.

28) ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 100.000 მან.

29) მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენს 10.000 მან.

30) ქალაქ თბილისს სადოსტაქრო საავათმყოფოსათვის შენობის ასაგებად მისის და განსვენებულ მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე 200.000 მან.

სულ 814.500 მან.

ეს ფულები დანიშნულებისამებრ თანდათან მიეცემათ შემდეგ არა უგვიანეს 2 წლისა.

—

ამ ქონების გარდა განსვენებულმა დასტოვა ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი, რომელსაც ეხლა დაახლოვებით აფასებენ ორ მილიონად.

ფირმის და ამ დაწესებულებათა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს ექვსის წლისა და რაც თანხა შედგება უნდა გაუნაწილდეს წ.-კითხვის საზოგადოებას, თბილისის დრამატიულ საზოგადოებას და ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

ამ ანდერძის ამსრულებლად დანიშნულნი არიან: ძმა განსვენებულისა ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი, დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილი, ალექსანდრე თევდორეს ძე სარაჯიშვილი, მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი და თ-დი გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი.

ბრძოლის ახალი პერიოდი

I

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მთელ ამ ხნის განმავლობაში ბრძოლის ინიციატივა მხოლოდ გერმანელთ ეპყრათ ხელში. მართალია, ათასში ერთხელ, თვით ბრძოლის დასაწყისში, მოკავშირეთაც გაუღიმა ბედმა, განსაკუთრებით საფრანგეთს და რუსეთს, პირველს, ვთქვათ, 31 მკათათვეს (1914 წელს) ელზასში შესვლის დროს მაულჰაუზის გარშემო, შემდეგ 25 მკათათვეს იმავე წელს მარნაზე ფონ-კლუკის არმიის დამარცხება და ბოლოს სუასონთან 1915 წ. ენკენისთვის შუა რიცხვებში 18 ათის გერმანელის დატყვევება, ხოლო რუსეთს მხრივ 13 ოქტომბრიდან დაწყებული დიდებული ლაშქრობანი ავსტრია ჰუნგრეთისკენ, მაგრამ ყველა ამ ბრძოლას და გამარჯვებას უფრო ეპიზოდიური ხასიათი ჰქონდა და საზოგადო ომის მსვლელობაზე არავითარს გავლენას არ ახდენდა. განა რომ ფრანგები პარლამენტში თვითვეულ ამ გამარჯვებას არასოდეს გამარჯვებად არ აცხადებდნენ და დელკასეს პირით სანუკვარი ცნება „victoire“ არა სმენია ტრიბუნიდან გამარჯვების მწყურვალე ფრანგებს. ამნაირად, გერმანელებმა საოცარი ენერგიის წყალობით ომის ცეცხლმფრქვევი სადავეები ორი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს და არას გზით არ ანებებდნენ მას მოკავშირეებს.

გერმანეთის მაქსიმუმი ძალის გამოჩენა მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც სამხედრო მიმომხილველნი ქვეყანას აჯერებდნენ მის სამხედრო ძლიერების გამოფიტვაზე. ეს იყო უმთავრესად 19—22 მაისი 1916 წ. მოულოდნელად მომხდარმა საზღვაო ბრძოლამ, გერმანეთის ფლოტის გამკლავებამ ინგლისელებთან მთელი ქვეყანა შესძრა. ამ ჟამად სრულიად არ გვაინტერესებს იმის გამოკვლევა, თუ ვინ ვის დაეცა, რა მიზნით.

პირ-იქით, მათმა პრესტიჟმა აიწია. ნეიტრალ სახელმწიფოებში რყევა დაიწყო. იმ დროინდელი საბერძნეთი და თვით მოყოყმანე დღევანდელი რუმინეთიც-კი იანუსის პირს იბრუნებდნენ და აშკარად ცენტრალ სახელმწიფოთა სასარგებლოდ აღიმაღლებდნენ ხმას. ამას მოჰყვა შემდეგ სერიოზული გამარჯვება ხმელეთზე, რამდენიმე მხრით: ინგლისის ფრონტი გარღვეულ იქმნა მოკლე ხანში იპრის მიმართულებით. შეტევას ისეთი მკაცრი ხასიათი ჰქონდა, რომ ინგლისელებს ამ დროს უკვალოდ დაეკარგათ ორი გენერალი, რამდენიმე პოლკის უფროსი. თვით პოლკებიც კი ყანასავით იცელებოდა. ამავე დროს ვერდენის ოპერაციამაც დაიწყო მომწიფება. ფორტ ვოს დაცემას მოჰყვა ფლერის დაცემა, შემდეგ ტიომონისა.

მთელი ეს ბრძოლა გერმანელთათვის, დიახაც, სედანის ბრძოლა იყო, მაშინ როდესაც თვით მოკავშირენი ახალის ძალით ივსებოდნენ, რწმენის ღმერთს სასოებით შეჰყურებდნენ და ხალხს მაინც საბოლოო გამარჯვებისთვის მოუწოდებდნენ.

რომ მართლა ეს გარეგნული ეფექტი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ საზოგადო ზეიმში, როდესაც მთელი გერმანეთი გამარჯვებას დროშათა ფრიალით დღესასწაულობდა, ორკესტრში უცნაურად შერეულმა ტოროტოტოს ხმამ დისონანსი შეიტანა. 22 მაისსავე რუსეთის სამხრეთ ასპარეზზე გენერალი ბრუსილოვი გაისვრის მოშხამულს ისარს ლუცკის მიმართულებით. ძლიერნი ხუმრობით შეეგებნენ ამ ამბავს და შექმნილ ილუზიის ჩამოდაფვნისა და გაქრობისა ოდნავი ეჭვიც არ შეჰსვლიათ. მოულოდნელმა იერიშებმა პრესაში ათასნაირი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მრავალი სამხედრო მიმომხილველი ბრუსილოვის ნაბიჯს „უგნურ სიმამაცის“ სითამამედ სთვლიდა ზოგნი კიდეც აყვედრიდნენ, რატომ ჟოფრის განკარგულებას არ მოუცადე და ნაადრევი ლაშქრობით მტერს საშუალება მიეცი საიდუმლო რუქის წასაკითხადაო. „საზოგადო შეტევა ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო“, — დასძენდნენ მიმომხილველნი და ბრუსილოვის მოტრფიალეთა და ტაშის დამკვრელთა შორისაც კი უნდობლობა და ეჭვი შეჰქონდათ.

მაგრამ მალე გაქარწყლდა პესიმისტთა ეჭვები. გენერალ ბრუსილოვმა, მართალია, მსხვერპლით მოსწყვიტა გამარჯვების დაფნა, შესაძლებელია რკინასა და ბეტონის ზღუდემ ჩანთქა რამდენიმე ათასი სული, მაგრამ ნაყოფი ამ „უგნური სიმამაცისა“, ისეთი ძლიერი გამოდგა, ისეთი მსუქანი, რომ მალე გამარჯვებულთ ზეიმისა და დღესასწაულის მადა ჩაუშალა, ხოლო მოკავშირეთ ჩაჰბერა სული ახალის ბრძოლისა, ახალის ძალის მოკრებისა.

არ ვწინასწარმეტყველებთ რა იქნება შემდეგ, რითი და როგორ გათავდება ეს ბრწყინვალედ დაწყებული ლაშქრობა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოკავშირეთათვის უბედნიერესი დღის დასაწყისი და ბრძოლის ახალი პერიოდი სწორედ ბრუსილოვის ქარქაშიდან ამოწვდილ მახვილის აწკრიალებიდან დაიწყო და დღემდე გაკეთებულიც ისე თვალსაჩინოა, რომ ჰღირს შევჩერდეთ და მცირეოდენის თვალის გადავლებით გავარკვიოთ, თუ რა ასპარეზზე რა გავლენა იქონია ბრუსილოვის გამარჯვებამ.

De—Ka.

(შემდეგ იქნება)

სოფლად

დაღამდა. სოფ. ზონკარში მივედი და ერთი ოსის ბინაზედ ჩამოვხტი. აქ ოსობა სცხოვრობს, სულ 25 კომლი. დროებით ვალდებულნი გლეხები იყვნენ ერისთავებისა.

ჩვეულობრივ ოსის სოფელს წარმოადგენს შენობები აწოწოლავებული ყავრის სახურავებით ერთი-ერთმანერთზედ მიკედლებულნი, თითქოს გარშემო ადგილი არ ჰყოფნიდეთ, გაშენებულია მაღლა მთის ძირში; სოფელში გზები საცალფეხოა. მისდევენ ხვნა-თესვას, ქერი და თივა მოჰყავთ.

აქვე მწვერვალზედ აშენებულია დიდი ციხე, ეძახიან „ფორხოლას“.

მეორე დღეს სოფ. ზონკარიდან თან გავიყოლე ცხენიანი კაცი გზის მაჩვენებლად.

სოფ. აწერის ხევზედ გავიარეთ, პატარა ლიახვის პირზეა გაშენებული, ქართველები ცხოვრობენ, 38 კომლი ითვლებაა. მთიულებს მიაგვანან აქაური გლეხები.

ჩემს კითხვაზედ ერთი გლეხი მეუბნევა—ჩემს ზემოთ ქართველები აღარ ცხოვრობენ; ყველგან ოსები ბინადრობენ, ჩვენ კი მაგარი ხალხი ვართ და ჩვენი მეზობლები ვერას გვაკლებენო.

ამ სოფელში, როგორც ნანგრევებიდან სჩანს, დიდს ადგილას ციხე კოშკები თავის გალავნებით ყოფილა. აქ არსებობს სამრევლო ეკლესია.

სოფ. ვანათიდან აღმოსავლეთისაკენ მიდის პატარა ლიახის ხეობა სოფ. აწერას ხევამდის და ამას იქით ჩრდილოეთისკენ უხვევს ვიდრე ლიახვის სათავემდის ავიდოდეს.

ამას იქით, ესე იგი, აწერის ხევის ზემოთ, პატარა ლიახვის ხეობა უფრო ვიწროვდება, ნაპირები გაფართოვებული აღარ გხვდება. მთის ფერდობები პირ და პირ დაქანებულია და უდრის კუთხის საზომს 60 გრადუსს და ზოგან თითქმის 80 გრადუსამდის ადის.

ამ სოფლის ზემოთ, დანარჩენი სოფლები მაღლა სერებზედ არიან გაშენებული; ზოგან მიუვალ ადგილებშია და საცალფეხო ბილიკითაა შეერთებული. მისვლა-მოსვლა ცხენებით სწარმოებს, აქედან ქვეით ბარში, ან ცხინვალში მიაქვთ ყველი, ერბო, მატყლი,

სამაგიეროთ იქიდან ეზიდებიან სიმინდს, პურს, ქერს.

აქაური ყველი გათქმულია თავის სინოყივრით და გემოთი.

მოჰყავთ ქერი და დიკა, ორი-სამი თვე თუ ჰყოფნით, თორემ დანარჩენ დროს ბარიდან ეზიდებიან.

სერებზე პატარ-პატარა სოფლებია გაშენებული და 1—3—5 კომლი თითო სოფელში კუნკულებს.

სოფ. შამბიეთი. უკან დავტოვეთ, სადაც ეკლესია არის და, როგორც გადმოცა ჩემმა თანამგზავრმა, ძველი ნახატებით არისო.

ავედით სოფ. ხაჩირაანთ კარში, ოთხი კომლი ცხოვრობს. ამის შემდეგ სოფლებში ნაშენობა კლდის ქვისაა; ქვები ერთი ერთმანეთზედ შეუკავშირებლად არის დადებული. შენობები ბანიანია. სახურავი არა აქვთ, თოვლი დიდი იცის და სახურავი შეუფერებელია, ასე რომ მთელი შენობები გაერთიანებულ თოვლში იმალება, მხოლოდ სოროსავით შესავალი აქვს.

აგრეთვე ამის ზემოთ ტყე თანდათან თხელდება, მასალის ტყის მაგიერ შეშის და ფიჩხის ტყე გვხვდება, ნიადაგი ხრიოკია და 2-3 ვერშოკით სისქე დამტვრეული წვრილი კლდოვანი მიწითაა დაფარული. უფრო საძოვრებია და ალაგ-ალაგ სათიბებიც გვხდება.

სოფ. ხაჩირაანთ კარის იქით საშიში გზები შეიქნა. ჩემმა ცხენმა ვიწრო კლდოვან ბილიკებზედ ვეღარ იარა. ჩემი ბარის ცხენი დავტოვე, აქაური მთის ცხენი ვიქირავე და გავსწიე. ეს ცხენი, როგორც ქურციკი, ისე ხტოდა კლდოვან ბილიკებზედ, ძირს კი უფსკრულში პატარა ლიახვის შხუილი გაისმოდა, რომელსაც მთანი ბანს ეუბნებოდნენ.

თანდათან მაღლა მივდიოდით, ნაპრალის წინ ბილიკი მიიკლაკნებოდა და მას მივსდევდით.

ჩემი თანამგზავრი სოფლებს მაჩვენებდა ხოლმე;—აი, ეს **ინაურია**, აგერ **ლბირა**, მის ზემოთ კი **სოფ. ჩაფარუხია** და ის წყალი, დაქანებული რომ ერთვის პატარა ლიახვს, ჩაფარუხის ხევი არის, არაგვის ხევსაც უძახიანო.

ყოველ სოფელში ციხეა აღმართული! ღელეებში ისევ თოვლი მოსჩანს, მთებიდან დაქანებული წყაროები—თითქოს ვერცხლის ზოლია ჩამოვლებული, მზის სხივებში ლივლივებდნენ.

ტყე ილევა და იწყობა საძოვარი ადგილები.

მივედით გაბარაანთ კარში. ერთი კომლი აყუნდია. მესაქონლეობას მისდევს, ძროხა, ცხვარი ბლომადა ჰყავს, ფულით სავსეა, მხოლოთ ქუჩყიანი და ტურტლიანია მისი ცხოვრება ყოველ მხრივ, რომელიც ამ დიად ბუნებას არ შეეფერება.

მკაცრია მთის ბუნება და მისი სიმკაცრის დაღი აღიბეჭდება მთიულის სახეზედ.

მას გასახარელი არა აქვს რა, მხოლოდ ცხვარში ჰპოვებს სიმშვიდეს და მთელი მისი ცხოვრება ცხვრის გარშემო ტრიალებს.

აქედან გადავედით **გაბილაანთ კარში,** სადაც ორი კომლი მოსახლეობს. იმ ღამეს იქ დავრჩით, სახლში შეუძლებელი იყო წოლა და ისევ თივის სურნელოვან ჯაჯურებში დავიძინეთ. დიდხანს არ მეძინებოდა. გარს უჩვეულო ბუნება მერტყა, აყუდებულ მთებს შუა მომწყვდეული, უმთვარო ღამე—ვარსკვლავებით მოფენილი, სიწყნარე და სიჩუმე, ჰაერი სუბუქი—თან ცივი. ნაბადში უფრო ვეხვევი.

ძირს უფსკრულში პატარა ლიახვის ხშუილი ყრუდ მოისმის, ერთგვარ გაბმულ ჰანგებზედ ნანასავით მესალბუნება და ამ წიაღში ჩამეძინება.

მეორე დღეს დილა ადრიან გაბილანთ კარიდან დაუხვიეთ დასავლეთისკენ ძირს, გავედით პატარა ლიახვზედ ყველგან, სადაც კი გავედით, ხის ვიწრო ბოგირებია, ისე რომ ცხენს თავისუფლათ შეუძლიან გავლა. გავიარეთ სოფლები: **ლაჩური, გაზა,** სადაც ერთვის პატარა ლიახვს „გაზაიდონ“ (დონ ოსურათ წყალია) ამის ზემოთ ავიარეთ და მივდიოდით სულ მაღლა-მაღლა. დავტოვეთ **ფარაზაანთ კარი, დოხიგინა** და ავედით უკანასკნელ სოფელ **კნოლოში,** სადაც სამი კომლი ოსი ცხოვრობს.

ადრე მივედით.

სოფ. კნოლო მდებარეობს 8,500 ფუტის სიმაღლეზედ, მეცხვარეობას მისდევენ.

საუკეთესო ყველი და ხაჭაპურებით გაგვიმასპინძლდნენ და თან ცივ ანკარა წყაროს ვაყოლებდით. გვქონდა თანაც საგძალი, მაგრამ ეს მეტად გემრიელი იყო.

Legatus.

,,საქართველო“-ს რედაქციას

22 მარტიდგან ამა წლისა თანახმად თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებისა, განყოფილებამ შესაფერი საფასურით მოიწვია ინსტრუქტორად ანტონ ალექსის ძე **ყაზახაშვილი,** რომელსაც დაევალა სამი თვის განმავლობაში, ე. ი. 24 თიბათვემდის, მოეარა მთელი თელავის მაზრა და შეეკრიბა დაწვრილებითი ცნობები ომისაგან გამოწვეულ ზარალის.

დღემდე თელავის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას ვერა გზით ვერ მოუხერხებია მიიღოს ანტონ ყაზახაშვილისაგან ნაწილი მაინც შეკრებილი ცნობებისა, თუმცა მრავალი გზით ეცადა.

ანტონ ყაზახაშვილი არა მარტო ყურს იყრუებს და გამგეობას ცნობებს არ აძლევს, არამედ საჭიროდაც არა სთვლის გასცეს პასუხი წერილებზედ, რომლითაც გამგეობას არა ერთხელ მიუმართნია მისთვის.

ვგმობთ რა ანტონ ყაზახაშვილის ასეთ არა საკადრისს საქციელს კულტურულ დაწესებულებისადმი, რამაც მრავალ გზით შეაფერხა ჩვენი მოქმედება, მთავარ გამგეობასთან პირშავად გამოგვიყვანა და ცნობების უქონლობის გამო საშველება მოგვისპო გაჭირვებულ ხალხისთვის დახმარება აღმოგვეჩინა, ჩვენ ღრმა სინანულს გამოვსთქვამთ იმ დაზარალებულ ოჯახების მიმართ, რომელთაც ჩვენდა უნებლიედ სათანადო სამსახური ვერ გაუწიეთ და ვეცდებით მივიღოთ საჭირო ზომები, რომ უნაყოფოდ დახარჯული სახალხო ფული ჩვენ ღარიბ კასას უკანვე დაუბრუნოთ.

ვაცნობებთ რა ანტონ ყაზახაშვილის საქციელს ქართველ საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ იგი ჯეროვანად დააფასებს მის მოქმედებას, როგორც „საზოგადო მოღვაწისას“ და „ინტელიგენტისას“, მით უმეტეს, რომ ამავე დროს ბ-ნი ყაზახაშვილი ჩვენი საზოგადოების გამგეობის წევრია.

თავმჯდომარე: კნ. ელ. ჭავჭავაძე.

წევრნი: ექიმი გ. ავალიშვილი, ივ. კარბელაშვილი, ნ. მაკარაშვილი, შაქრო გოგიჯანაშვილი.

მდივანი: ვ. ციცქიშვილი.

მომხმარებელ საზოგადოების ,,ალორძინების“ გამგეობის უკანასკნელი კრების დადგენილება

1) საჭირო საქონელი შეძენილ იქმნეს „ამიერ-კავკასიის“ კავშირის შუამავლობით.

2) სიძვირისა გამო მოემატოს ჯამაგირები, როგორც სავაჭროების მოსამსახურეთ, ისე კანტორისას—ზოგიერთს.

3) თბილისის ქალაქის სამმართველოს ეთხოვოს სუბსიდია ავლაბრის განყოფილებისათვის.

4) „ამიერ-კავკასიის კავშირში“ შეტანილ იქმნეს დანარჩენი საწევრო გარდასახადი, სესხის მიცემის კითხვა კი, რომელიც ითხოვა კავშირმა, განსახილველად გადატანილ იქმნეს მომავალ არა-ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც უნდა იქმნეს მოწვეული ამ ცოტა ხანში.

5) გაგზავნილ იქმნეს 2 გამგეობის წევრი ქალაქის სამმართველოში თხოვნით შაქრის შესახებ, რომელთაც უნდა ითხოვონ, რომ ჩვენს საზოგადოებას მიეცეს შაქარი წევრთა რიცხვის მიხედვით, რომელთა რიცხვი ადის ექვს ათასამდის და ჩვენი წევრების შემადგენლობაა ულარიბესი ნაწილი ქალაქის მცხოვრებლებისა განაპირა უბნებიდან და გვაქვს სამი სავაჭრო მაღაზია. მოგვეცეს იმდენი შაქარი მაინც, რამდენიც ეძლევათ ქალაქის სამმართველოსაგან სხვა მომხმარებელ საზოგადოებებს.

6) გახსნილ იქმნეს ბანკში 40 ათასი მან. საქონლის აკრედიტივი და გადაეცეს კავშირს სია საჭირო საქონლისა ბაქოში სასყიდლად კომისიით.

7) მიეცეს განცხადება თბილისის სამხედრო კომისიას და ეთხოვოს განთავისუფლება პასუხისმგებელ მოსამსახურეებისა, რომელნიც ითვლებიან I და II ხარისხის მოლაშქრეთ.

8) მიეცეს საექიმოდ ავადმყოფ ნოქარს გოგობერიძეს თვენახევრის ჯამაგირი და განთავისუფლებულ იქმნეს შრომისაგან განკურნებამდის.

9) შაბათობითაც დაკეტილ იქმნეს საზოგადოების მაღაზიები საღამოს რვა საათიდან.

10) რადგანაც კოოპერატიული სავაჭროები ზოგიერთა საქონეზლე ზარალობს ნიხრზე ვაჭრობით, ამისათვის ამორჩეულ კომისიას დაევალა სხვა ადგილობრივ კოოპერატივების წარმომადგენლებთან ერთად გამონახონ ზომები, რათა კოოპერატივებს შეეძლოთ ნიხრზე ვაჭრობა უზარალოდ. კოოპერატივების წარმომადგენელთა კრების მოწვევა კომისიამ უნდა დაავალოს ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს.

გამგეობის მდივანი

იასონ ფანიაშვილი.

გურიის მომხ. საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება ოზურგეთში

კვირას, 31 მკათათვეს, ქ. ოზურგეთში მასწ. პარ. თოთიბაძის თავმჯდომარეობით და მიხ. საბაშვილის მდივნობით შესდგა გურიის მომხ. საზ. წარმომადგენლების კრება. გურიაში ასეთი ამხანაგობა 60-ზე მეტი მოქმედობს, რომელთაგან კრებას დაესწრო 32 საზოგადოების წარმომადგენელი, რიცხვით 46 კაცი (ზოგ ამხანაგობიდან 2). კრებას დაესწრო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორი ბ. გრ. ურატაძე. კრების გასარჩევი საგანი იყო: მოხსენება კავშირის შესახებ, პარკი და თამბაქო, აბრეშუმის ჭიის თესლისა და მანდარინის ნერგის შეძენა-გაყიდვა, შაბიამანის გამოყიდვა, სარაიონო საქონლის განმანაწილებელ პუნქტების დასახელება, საკუთარი ინსტრუქტორის ყოლა, შუამდგომლობის აღძვრა მობილიზაციის გადადების შესახებ და სხვ. კავშირის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის საბჭოს წევრი ბ. ს. ცხომელიძე და კავშირის ინსტრუქტორი ბ. გ. ურატაძე *), რომელთა მოხსენებიდან ირკვევა, რომ მიუხედავად კავშირის სულ რაღაც ერთი თვის არსებობისა, მისი საქმე ჩინებულად და ნავარაუდევზე თურმე უკეთ მიდიოდა, ასე რომ მოსალოდნელი ყოფილა კავშირმა თვეიურად არა ნაკლებ ასი ათასი მანეთისა გადაატრიალოს. მართალია კავშირმა თბილისის დარბევის დროს 35 ათასი მანეთის ზარალი ნახა, მაგრამ კავშირის საბჭო გულს მაინც არ იტეხს და მის წევრების ენერგიას ემყარება და იმედი აქვს ადრე გამოსწორდეს. ორატორები მოუწოდებენ კავშირის ამხანაგობებს, ვისაც საწევრო არ აქვს მოსრულებული, ადრე შეიტანოს და კავშირიდან ხშირად გამოიწეროს საქონელი და მით მის აღორძინებას ხელი შეუწყოს. კრებას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „გურიის მომხ. საზოგ. წარმომადგენლების კრება ერთხმად გმობს ყოველგვარ „პოგრომსა“ და ძალმომრეობას, სიძვირესთან ბრძოლის ერთად-ერთ კულტურულ საშუალებად აღიარებს კოოპერატივების გაძლიერებას და კავშირის აღორძინებას, ამიტომ წარმ. კრება თავის კავშირს, პოგრომის მიერ საგრძნობლად დაზარალებულს, თავის მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს, მზათ არის ხვედრი ზარალის ანაზღაურება იკისროს და კავშირის აღორძინება-წარმატებას ყოველგვარი საშუალებით ხელი შეუწყოს“.

გამოირკვა, რომ კავშირით ჯერჯერობით მეტად სარგებლობს თბილისის გუბერნია და რაკი სასურველია ქუთაისის გუბერნიამაც ისარგებლობს და მით ხელი შეუწყოს კავშირსაც და თავის ამხანაგობის გაძლიერებასაც, ამიტომ გადასწყვიტა გურიის კოოპერატივებისათვის გურიაში: ოზურგეთში, ჩოხატაურში და ლანჩხუთში თვით კავშირმა მოაწყოს საქონლის განმანაწილებელი პუნქტები.

კრება ეხება წითელ და ლურჯ ბილეთიანების ჯარში გაწვევას და ადგენს, რომ რადგანაც გურიის მცხოვრებთა ერთად-ერთი საზრდო არის სიმინდი და მაღალ ხეებზე გაშენებული ვენახი—ადესა, რომელთა მოწევა პირველ ნოემბრამდეც ძლივს თავდება, ერთსაც და მეორესაც წელს კარგი პირი უჩანს და მოსალოდნელია რამოდენიმე წლის ზედიზედ დამშეულმა გურიამ წელს წლის საყოფი საზრდო მოიწიოს, რადგან არც სიმინდისა და ადესას მოწევა და არც ტყიდან (20—30 ვერსის სიშორიდან) შეშის მოტანა დედა-კაცს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია, ამიტომ, რომ გურია კვლავ არ დაიმშეს და ჯარის ზურგის გამმაგრებელი ხალხი დამშვიდებული იყოს, კრება ერთხმად ადგენს, რომ თვით სახელმწიფოს კეთილდღეობის ინტერესი მოითხოვს ჯარში გაწვევა გურიიდან გადადებულ იქნას 1 ნოემბრამდე მაინც. ამასთანავე კრება ადგენს, რომ რადგან დამშეულ გურიას ჰკვებავ და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნავ კოოპერატივები და წვრილი კრედიტის ამხანაგობანი, რომელთაც მობილიზაციის გამო განადგურება მოელით, ამიტომ თითეულ შემთხვევაში ხსენებულმა დაწესებულებებმა აღძრან შუამდგომლობა ზოგიერთა მომუშავე პირების შეღავათის მიცემის შესახებ.

აბრეშუმის პარკის შესახებ გამოირკვა, რომ წელს ომის მიზეზით ვაჭრებს სდომებიათ ფასის დაწევა, მაგრამ თვით ხალხს გამოუთქვამს სურვილი გააჩმონ და მერმედ გაყიდონ, ამის ხელმძღვანელობა უკისრიათ კოოპერატივებს და გაუხმიათ მთელ გურიაში 5400 ფუთამდე. კრება ადასტურებს, რომ კოოპერატივები თავის იდეას ნუ გადასცდება. ხალხს ხელი შეუწყოს ნაწარმოების გასაღებაში, მაგრამ თვით კი ნუ იკისრებს, არამედ ამისათვის დაარსდეს ცალკე ამხანაგობა მყიდველ-გამყიდველი შუამავალი. აბრეშუმის თესლის შეძენა კი მიენდო წვრილი კრედიტის ბიუროს, რომელსაც თესლის შეძენის მსურველმა ბე ახლავე უნდა წარუდგინოს.

შაბიამანის გამოყიდვაც (ქუთაისში ყოფილა მოტანილი) მიენდო იმავე ბიუროს, რომელსაც პირველ სექტემბრამდე ფუთზე 15 მ. ბე უნდა წარუდგინონ. (ფუთი ჯდება 26 მ. მაგრამ მომავალი წლისათვის 45 მ. დაჯდებაო). მანდარინის ნერგის შეძენის შესახებ კრებამ სურვილი გამოსთქვა ასეთ შემთხვევის დროს მცხოვრებლებმა მიმართონ გურიის სამეურნეო საზოგადოებას.

მეთამბაქოეთა საქციელი, ესე იგი თვით მეურნეთა შეკავშირება და თანხმობით მოქმედება კრებამ მოიწონა და იგივე ურჩია თხილით მეურნეებს.

კრებაზე ზოგიერთმა ორატორმა მწუხარებით აღნიშნა, რომ თითქმის არც ერთ კოოპერატივს არ აქვს წესიერად ნაწარმოები შემოსავალ-გასავლის წიგნები. ამის გამო კრებამ დაადგინა ეთხოვოს კავშირს გამოგზავნოს ლექტორი-ხელმძღვანელი, რომელიც გურიაში ადგილობრივ მოამზადებს საქმის მწარმოებელ პირებს და ამ რიგად თვით კოოპერატივებს ეყოლებათ საჭირო ძალა, თორემ ერთი მოსიარულე ინსტრუქტორი (როგორც ზოგი მოითხოვდა) ვერას გახდება. უკეთუ კავშირი ასეთ პირს ვერ გამოგზავნის, ან ვერ მიგვითითებს, მაშინ თვით გურიის კოოპერატივებმა უნდა იკისრონ ასეთი პირის მონახვა და მოწვევა.

ძველი.

---

*) მოხსენების წინ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა კავშირის ინსტრუქტორის გიორგი ლომთათიძის ხსოვნას.

თეატრი

სოფ. ობჩა (ქუთაისის მაზრა). შაბათს, 2 მკათათვეს, ლევან ტ. გძელიძის თაოსნობით ობჩის სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს პიესა: „მოტყუებულნი“ და „ორი მშიერი“. მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი ახალგაზრდა სცენის მოყვარენი: ან. ლალიძე, გ. ბურჯანაძე, მ. ჩხიკვაძე, ლ. ბურჯანაძე, ნ. ჩხიკვაძე და კ. ჩხიკვაძე. წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომათ დაესწრო. ყველა ხარჯების შემდეგ სამკითხველოს დარჩა 31 მან. და 25 კაპ.

კოწია.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „თან. აზრის“ მე-160 და 167 №№-ში მოთავსებულია ბ.ბ. რადიკალის და გიორგი სოფრომის ძის კალანდაძის (უკანასკნელის—მეშების მონდობილობით) წერილები, სადაც მე ბრალს მდებენ, თითქო მე ვიყო მიზეზი ხარფუხის კლუბიდან ოთხი ხელზე-მოსამსახურის დათხოვნისა.

ამით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მე ვაცხადებ, რომ ზემოხსენებულ გაზეთში მოთავსებული ცნობები სრულიად სიმართლეს არ ეთანხმება. ეს ოთხი მოსამსახურე დაითხოვა 20 წასულ მკათათვეს კლუბის მამასახლისთა საბჭომ თავისთავად, მათი უვარგისობის გამო. მართალია ამ ოთხმა მოსამსახურემ, სხვათა შორის, მოსთხოვეს მამასახლისებს ჩემი დათხოვნაც სამსახურიდან, მაგრამ ეს მოთხოვნილება ყოვლად უსაფუძლოდ იცნეს ისე, როგორც მათი დანარჩენი მოთხოვნილებებიც. მე თვითონ არ ავყევი მათ მოთხოვნილებათ იმიტომ, რომ სრული კმაყოფილი ვიყავი და დღესაც ვარ იმ სამსახურის პირობებით, რომელნიც ხსენებულ კლუბში არსებობს,—მაგ. მე მომდის გასამრჯელო თვეში არა ნაკლებ 100 მანეთისა, ასევე ან კიდევ მეტს შოულობდენ დანარჩენი ჩემი ამხანაგები. ყველა ზემო მოხსენებულს დაამოწმებს ხარფუხის მამასახლისთა საბჭო.

პატივისცემით **ივანე ანთაძე.**

შემოწირულება

გაახლებთ მცირე შემოწირულებას, რომელიც კახეთის რკინის გზის მოსამსახურეებმა იროდიონ ევდოშვილის ცოლშვილის სასარგებლოდ გაიღეს. გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემომწირველთა სიაც:

თითო მანეთი: ისაკ ჩოფიკაშვილი, ბესარიონ გელაშვილი, ნიკოლოზ ნებიერიძე, შაქრო კობიაშვილი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, დავით წიკლაური. ათ-ათი შაური: ალექსანდრე ნადაევი, უფლისა გასვიანი, მოსამსახურეთაგანი, უსახელო, გრიგოლ ლალიშვილი 30 კ. სულ 8 მ. 30 კ.

პატივისცემით **დავით წიკლაური.**

რედაქტორ-გამომცემელი

ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	სად.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სად.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	სად.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58 „	დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	სად.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სად.
თელავიდან		№ 3,	. 7 „ 58 „	სად.

თუ გსურთ, მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ლირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
ტელეფონი 5—96.
(103—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იწოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზ.
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტ. რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვიგთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკ“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, მრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „ოშხნა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა, ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინი რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ზანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გამგეთის შესახვევი № 4.